

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის სპეციალისტის თანამდებობაზე.

**არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ამოცანაა:** მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობა.

**სამუშაოს სპეციფიკა:** პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

#### **მოვალეობები:**

- საზედამხედველო სუბიექტების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა;
- ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების საქმიანობაზე დისტანციური ზედამხედველობის განხორციელება;
- შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ღონისძიებების შესრულების კონტროლი;
- საზედამხედველო სუბიექტების მიმართ დაწესებული მოთხოვნების შესრულების შემდგომი მონიტორინგი.

#### **ძირითადი მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება სასურველია ეკონომიკის დარგში;
- სასურველია კანდიდატს ჩაბარებული ჰქონდეს საკვალიფიკაციო გამოცდები - ACCA; CFA;
- საფინანსო სექტორში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება;
- საზედამხედველო სუბიექტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა.

#### **კომპეტენციები:**

- იდეების დასაბუთება, დარწმუნება;
- პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;

- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა;
- ცოდნა ორგანიზაციის მისიის, საჯარო სამსახურის ეთიკის და საზოგადოებრივი სარგებელის შესახებ.

თანამდებობრივი სარგო: 1000-1500 ლარი (დარიცხული)

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2019 წლის 14 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge) და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის სპეციალისტი**